აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

ოქმი #6

ქ.აბაშა უჩა კაჭარავას #1 03 აგვისტო 2023 წელი.

სხდომას ესწრებოდა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.დავით ცანავა - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

2. ზეზვა მაკალათია-აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

3. მურთაზ ჯალაღონია - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

4. იაგო თოდუა- აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

დღის წესრიგი:

მომხსენებელმა, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, დავით ცანავამ, კომისიის წევრებს გააცნო სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

2. აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მოისმინეს:

1. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ცანავა

აზრი გამოთქვეს: მურთაზ ჯალაღონიამ, ზეზვა მაკალათიამ და იაგო თოდუამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე-4 წინააღმდეგი -0)

აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,დ.გ'' ქვეპუნქტის თანახმად განკარგულების პროექტი ,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს:

2. . აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: დ.ცანავა

აზრი გამოთქვეს: დ. ცანავამ, და იაგო თოდუამ

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე-4 წინააღმდეგი -0)

აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად განკარგულების პროექტი

აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: /დ. ცანავა/